

გ თ ხ ს ჟ ნ ე ბ ე ბ ი  
4-8 ოქტომბერი 2010 თბილისი, საქართველო

ტბილისი ქართული მრავალწმინდის

ძეგლი

საქართაშორისო

სიმპოზიუმი

THE FIFTH  
INTERNATIONAL  
SYMPOSIUM  
ON TRADITIONAL POLYPHONY

4-8 OCTOBER 2010 TBILISI, GEORGIA  
P R O C E E D I N G S

საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო  
თბილისის სახელმწიფო კონსერვატორია

MINISTRY OF CULTURE AND MONUMENT PROTECTION OF GEORGIA  
TBILISI STATE CONSERVATOIRE

ეაპ (UDC) 784.4 (479.22) (063)

რედაქტორები      რუსული ტერტიტორია  
ომებბ ქორდანია

EDITED BY      *RUSUDAN TSURTSUMIA*  
*JOSEPH JORDANIA*

გამოცემაზე მუშაობდნენ:      6060 რაზმაძე  
გაგა ხარძიანი  
თაგაუ გაბისონია

THIS PUBLICATION WAS PREPARING BY:      *NINO RAZMADZE*  
*MAKA KHARDZIANI*  
*TAMAZ GABISONIA*

© თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის  
ტრადიციული მრავალხმიანობის კვლევის საერთაშორისო ცენტრი, 2012

© International Research Center for Traditional Polyphony of Tbilisi Vano Sarajishvili  
Tbilisi State Conservatoire, 2012

ISBN 978-9941-9197-9-4

გარეკანის მხატვარი 6020 სებისკვერაძე  
Cover Design by NIKA SEBISKVERADZE

კომპიუტერული უზრუნველყოფა დაშა შურაშვილი, 6060 რაზმაძე  
Computer Service by LASHA KURASHVILI, NINO RAZMADZE

დაიბჭიდა შ.პ.ს. საუნდ მრბიტში, თბილისი, საქართველო  
Printed in *Saund Orbit Ltd*, Tbilisi, Georgia

ХМБ З. ЗРДДО (ЗДД)

03ლიანე ნიკოლაძე: ქართულ ქლისპირთა რედაქტორი

1910-1915 წლებში, როდესაც საქართველოში გალობის დაცვა-შენარჩუნების პროცესი დასასრულს უახლოვდებოდა, ერთმა ადამიანმა საგალობლების სამ ხმაზე გაწყობა განიზრახა. გაუარესებული ჯანმრთელობის მიუხედავად, ასობით საგალობლის პირველი ხმა გადაწერა, მოიძია გალობის მცირენები, რათა სამივე ხმა სრულად აღეტყვდა. მან ხელი მაჟყო რედაქტირების ფართობას შტაბიან საქმეს, რომელიც საგალობელთა პარმონიზების მისეულ ესთეტიკურ ხედვასაც ითვალისწინებდა. ნოტებზე გადატანილი საგალობლების ოთხი ლიდი კრებული (Q687, 688, 689, 690), რომელიც თბილისში, ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში ინახება, ცხადყოფს, რომ ქართული საეკლესიო გალობის შენარჩუნებაში არაერთი ადამიანი, მათ შორის, მაღალობდებით თუ რედაქტორები მონაწილეობდნენ.

1892 წელს ობილისში პირველი სანოტო შრიფტის გამოშენების შენარჩუნების საქმე მნიშვნელოვნად წახსნად წარმატების შემთხვევაში გამოიცემა ამ მიმართულებით შესრულებული სამუშაოს საგადობელთა კრებულების გამოცემაში თავმოყრის შესაძლებლობა მისცა. სტამბა, ახევე, თანხების მოზიდვითაც იყო დაკავებული, რათა პონორარი გადაექადა იმ მუსიკოსებისათვის, რომლებმაც პროფესიული განათლება დასავლეთში მიიღეს. ასეთ პიროვნებად თვეერთი მომდევრადი, ფილიმონ ქორიძე მოგვევლინა, რომელმაც დასავლეთ საქართველოში ასობით საგადობელი სრული მგალობლებისაგან ჩაიწერა. დათისმასახურების მიხედვით ორგანიზებულ საგადობელთა რამდენიმე კრებული (მწუხარი, ცისკარი, წირვა) მომდევნო ათწლეულს გამოიცა, მაგრამ 1908 წელს მაქსიმე შარაძის უდროო გარდაცვალებამ საქმე შეაგერა.

მაქსიმე შარაძის იდეოლოგიური მრწამსის კვალდაკვალ, რომელიც მართლმადიდობლური ქადაგებებისა და ზნეობრივი შინაარსის მქონე წერილების გამოქვეყნების გზით საზოგადოების ცნობიერებაზე დადგებით გავლენას გულისხმობდა (Graham, 2007), მუსიკალური გამომცემლობის ხელმძღვანელს, ესტრადურ კერძებრივ სჯეროდა, რომ საეკლესიო საგალობლების გამოცემა პრიორიტეტულ საქმიანობად უნდა დარჩენილიყო, თუმცა, სტამბის საქმიანობაში მონაწილე კიდევ ერთ ასოთამწერის – სპირიდონ ლოსაბერიძეს, ეს საქმე არამომგებიანად მიაჩნდა. შეარეთა შორის დაპირისპირებაში საქმე იქმდე მიიფანა, რომ 1910 წელს სტამბა დაიხურა. კ. კერძებრივის მოგონებების თანახმად, ს. ლოსაბერიძე არც თუ კარგი ზნის კაცი ყოფილა. განსაკუთრებული გულისტკივილით კ. კერძეს საბოლოო იმავეს იგონებს, თუ როგორ აცხადებდა მფლობელობას ს. ლოსაბერიძე საგალობელთა გამოუქვეყნებელ ხელნაწერ წიგნებზე, რომელთა შედგენაში ფ. ქორიძეს პონორარი „შარაძე და ამხანაგობის სტამბაშ“ გადასცა (კრესელიძე, Q840).

ს. ლოსაბერიძის ინიციატივით საგადობელთა ცხრა ქრებული უნივერსიტეტის მუზეუმის მფლობელობაში გადავიდა. დღესდღეობით ეს კოლექცია H-154 ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში ინახება (შედლიაშვილი, 2009: 18-19)<sup>1</sup>. კოლექცია ასრბით ძლისპირთა, ტროპართა, წარდგომათა და სხვა საგადობელთა პირველი ხმის სანოტო ჩანაწერს მოიცავს. ფ. ქორიძის მიერ მათი აღმატვა თბილისსა და ოზურგეთში რამდენიმე წლის განმავლობაში მიმდინარეობდა (სუხიაშვილი, სანიკოძე, 2004). როდესაც ე. კერესელიძემ აღნიშნულ ქრებულთა აღგილსამყოფელს მიაგნო, მუზეუმის დირექტორის, ე. თავაიშვილის ხელართვით, მათზე მუშაობას შეუდგა. ერთი წლის მანძილზე მან საგადობლები ხელით გადაწერა და ოთხ დღით ქრებულში მოაქცია<sup>2</sup>. თავდაპირველად, ე. კერესელიძე

ფ. ქორიძის ხელნაწერს ზუსტად იმეორებდა, ისე, რომ საგალობელთა პირველ ხმას ერთმანეთის მიყოლებით, ყოველ მომდევნო სტრიქონზე წერდა. რამდენიმე გვერდის შემდეგ მან გადაწერის პრინციპი შეცვალა; მელოდიას ერთომეორის მიყოლებით სტრიქონზე კი აღარ წერდა, არამედ პირველი ხმის სანოტო სისტემაზე გადატანისას, ხმის ქვემოთ ორ ცარიელ ხაზს ტოვებდა, რაც, როგორც ჩანს, იმაზე მიუთითებს, რომ კერძესლიძემ განიზრახა და ესრულებინა ის საქმე, რომელიც ქორიძემ ვერ დაამთავრა – საგალობლის მელოდიის (პირველი ხმის) სამ ხმაზე გაწყობა (მაგ. 1)<sup>3</sup>. მომდევნო ხუთი წლის მანილზე კ. კერძესლიძემ მოვლ დასავლეთ საქართველოში ექვებდა გალობის ცოცხლად დარჩენილ საკეთებო მცოდნეებს, რათა მათი დახმარებით საგალობელთა პარმონიზება და ესრულებინა და მათი გამოქვეყნება დაეწყო.

1913 წლისათვის, სტამბის დაშლიდან სამი წლის შემდეგ, კ. კერძესლიძემ გადაწყვიტა, თავისი ცხოვრება ფ. ქორიძის მიერ ჩაწერილი საგალობლების გადაწერის, ორგანიზებისა და მათი სისრულეში მოყვანის ურთულესი საქმისთვის მიყდვნა. იგი გახდა მორჩილი, სახელად ექვთიმე, განერიდა თბილის და გელათის მონასტერში დაიდო ბინა (სურ. 1). იქ მან მგალობელ რაუდენ ხუნდაძეს დაახლოებით 1000 დაუმთავრებელი საგალობლის პარმონიზებაში დახმარება სოხოვა. რ. ხუნდაძე ქუთაისის მახლობლად მდვდლად მსახურობდა და სრული მგალობელი გახლდათ; ოცდაათიოდე წლის წინ, 1884 წელს, იგი მგალობელთა იმ პირველ ჯგუფში აირჩიეს, რომელიც 1880-იან წლებში საგალობლების ჩაწერის უდიდეს საქმეში მონაწილეობდა. რ. ხუნდაძეს შეეძლო ათასობით პანგის ურთულესი გარიანტები გვალობა (სურ. 2)<sup>4</sup>. მიუხედავად მისი დიდი ოსტატობისა, ხელნაწერებიდან ირკვევა, რომ რ. ხუნდაძე, პედაგოგიური მიზნებიდან გამომდინარე, უპირატესობას სადა კილოს ანიჭებდა<sup>5</sup>. აღნიშნულ ხელნაწერებში პარმონიზების მისეული სტილი ზედა ხმებში პარალელური ტერციებით, ხოლო განაპირა ხმებში ოქტავებით ან კვინტებით ხასიათდება (მაგ. 2).

რ. ხუნდაძის მიერ სამ ხმაზე გაწყობილი საგალობლების უმეტესობა ხელნაწერთა ორ სქელტანიან კრებულშია შესული (Q687 და Q688); თითოეული 400-ზე მეტ გვერდს მოიცავს, რომლებიც კ. კერძესლიძემ, საგარაულოდ 1911 წელს თბილისში გადაწერა. ხელნაწერთა თითქმის ყველა გვერდზე, კ. კერძესლიძის ხელით, სწორჯოხიანი ნოტით ჩაწერილი პირველი ხმა განსხვავდება რ. ხუნდაძის გაწაფული, გაკრული ხელით ჩაწერილი მეორე და მესამე ხმისაგან (შეად. მაგ. 1 და 2)<sup>6</sup>. საინტერესოა, რომ ხელნაწერებში საგალობელთა 70% მცირედ კორექტივებს, ხოლო 5% მნიშვნელოვან ცვლილებებს განიცემის<sup>7</sup>. ერთი შეხედვით, საფიქრებელია, რომ რ. ხუნდაძემ, გალობის დიდოსტატმა, საკუთარ ხელნაწერებში ცვლილებები შეიტანა. თუმცა, ხელწერისა და მუსიკალური სტილის უკეთ შესწავლა სხვა შედეგს იძლევა, რასაც ქვემოთ მოტანილ მაგალითებში განვიხილავთ.

ძლისპირში რომელმან ხიტუეთ არარასეან (მაგ. 3), ულამაზესი მელოდია თავდაპირველად პარმონიზებულია პარალელური ტერციებით, რაც შემდეგ მარტივი კონტრაპუნქტითა შეცვლილი. აღსანიშნავია, რომ როდესაც მაღალ ხმებში ასეთი პარალელური ტერციული ინტერვალები გვხვდება, რედაქტირების შემდეგ შეა ხმა აღმაგალი მოძრაობით არის წარმოდგენილი. მოცემულ მაგალითში ასეთი ცვლილება სამჯერ გახვდება. მომდევნო სეგმენტში (მაგ. 4), იმავე ტიპის ცვლილებებს, შეკავებულ, აღმაგალ მეორე ხმაში ვხვდებით, სადაც კადანსიც იცვლება, რადგან შეცვლილია ტერციის არაბუნებრივი ინტერვალი. აქ სახეზეა ხელწერათა შედარებასთან დაპარალებული კიდევ ერთი ასპექტი, რაც, შესაძლოა, მე-4 მაგალითში კველაზე ნათლად ჩანს. როგორც ზემოთ აღინიშნა, კ. კერძესლიძის მიერ დაწერილი ნოტის ჯოხები სწორია (პირველი ხმა), რ. ხუნდაძის სანოტო მოხაზულობაში კი ჯოხი, დაბოლოებისას, ოდნავ მარჯვნივ იხრება (მეორე, შესამე ხმები). უმეტეს შემთხვევაში, კ. კერძესლიძე ნახევარი გრძლიობის ნოტს ხელის ორი მოძრაობით წერს: იგი ჯერ წრეს ხაზავს, შემდეგ კი ჯოხს უწერს. რ. ხუნდაძე ნახევარი გრძლიობის ნოტს, ხელის ერთი მოძრაობით

– ფურცლიდან ფანქრის აუდიტლად წერს. მე-4 მაგალითში მერვედი ნოტები სხვა, მესამე ადამიანის ხელწერა უნდა იყოს. ეს ხელწერა თითქოს რ. ხუნდაძისას პგავს, მაგრამ ნოტები უფრო მომცრო ზომისაა და ჯოხები, მიმართულებისა და სიგრძის თვალსაზრისით – არათანმიმდევრული (ამის თვალნათელი მაგალითებია 3, 4 და 7).

საგალობელში სიღრმეთა ცოდვისათა (მაგ. 5), პარალელურ ტერციათა სვლა, ამჯერად პარალელური კვინტური სკლიო არის ჩანაცვლებული, რაც გასაკირია, რადგან კორექტივების უმეტესობა, ზედა ორ ხმას შორის, პარალელური მოძრაობის თავიდან აცილებას ემსახურება. სხვა მაგალითში. რედაქტორი მეორე ხმაში კორექტივების შეტანით არ შემოიფარგლა და სამივე ხმა, მათ შორის, პირველიც ჩასწორა (მაგ. 6). რადგან ასეთი ტიპის ჩასწორება ამ ხელნაწერისათვის უწვეველოა, შესაძლებელია, გარკვეული მოსახრება გამოითქვას. მაგალითად, ყოველთვის, როცა პირველი ხმის მელოდია შეცვლილია, მისი სწორად პარმონიზებისათვის სხვა ხმების ხელახლა ჩასწორებაა საჭირო. ამ კონკრეტულ მაგალითში რედაქტირების უწვევულო ასპექტს წარმოადგენს ბანის პარტიის განმეორადობა, რაც უფრო კონტრაპუნქტული მოძრაობისათვისაა ტიპური. როგორც წესი, პირველ ხმას რედაქტორი ხელუხლებელს ტოვებს.

ხელნაწერის კიდევ უფრო რადიკალური რედაქტირების ნიმუშს წარმოადგენს მაგალითით 7: რედაქტორს შესწორებები მხოლოდ მელოდიასა და პარმონიულ ხმებში კი არ შეაქვს, როგორ წინა მაგალითში, არამედ კადანსის სიმაღლესა (E –ს ნაცვლად F) და რიტმშიც. როგორც უპვე აღვნიშვით, ფრაზაში ძლიერი დროის რაოდენობა და კადანსის სიმაღლე – ქართული საეკლესიო გალობის სტრუქტურის ორი ფუნდამენტური პარამეტრია, რომელიც ზეპირ ტრადიციას უკავშირდება. ამ პარამეტრების ცვლილება, საგალობელთა ძირეულ რედაქტირებას გულისხმობს (Graham, 2008: 491-497). ხელნაწერებში, კველაზე ხშირად, რედაქტორი პარალელურ ტერციულ სვლებს შეა ხმის მარტივი კონტრაპუნქტით ცვლის. ბანში ცვლილებებს შედარებით იშვიათად ვხვდებით, პირველ ხმას, ასევე რიტმსა და კადანსის სიმაღლეს, რედაქტორი მხოლოდ განსატეორებულ შემთხვევებში ეხება.

მოცემული მაგალითებიდან (მაგ. 1-7) ჩანს, თუ რას ანიჭებებ უპირატესობას ამ ხელნაწერზე მომუშავე სხვადასხვა ავტორები. რ. ხუნდაძის პარმონიული სტილი, ზედა ხმებში პარალელური ტერციებით ხასიათდება; მისთვის, ასევე, დამახასიათებელია განაპირობებისა და ოქტავების, ხოლო კადანსში ტერციული თანხმოვანების გამოყენების ტენდენცია. მის მიერ პარმონიზებული საგალობლების რედაქტორი, რომლის შესახებ ქვემოთ მოგახსნებოთ, უპირატესობას ხმებს შორის კონტრაპუნქტულ ურთიერთდამოკიდებულებას და კვინტურ კადანსს ანიჭებს. საკვირველია, რომ ეს უკანასკნელი, ზოგჯერ კვინტური პარალელიზმის უხერხეულ პარმონიზებას მიმართავს და, ზოგჯერ, ისეთ შეცდომებასაც უშევებს, როგორსაც მე-8 მაგალითში ვხედავთ – მეორე სტრიქონში, მესამე ტაქტის საკადანსო მოქმედში, ბანში ლას ნაცვლად სოლ ბეჭრაა მოცემული. რედაქტორის შესახებ სხვა რომ არაფერი ვიცოდეთ, ყოველივე ეს გვაძლევს იმის საშუალებას, რომ ვიმსჯელოთ მასზე, როგორც ადამიანზე, რომელსაც გალობა უსწავლია, მაგრამ, სრული მგალობელი არ ყოფილა.

საგალობელთა გადაწერის, პარმონიზებისა და რედაქტირების ზემოთ აღწერილი პროცესის მოტივაციაზე სტატიაში აქამდე არაფერი თქმულა, რადგან გვსურდა, თავად ხელნაწერებს შეექმნათ გარკვეული წარმოდგენა მეითხელისათვის. კერქსელიძისა და ხუნდაძის ხელნაწერზე მიწერილი (Q 687: 65) ერთი დიალოგი გვიჩვენებს, რომ მათ ესთეტიკურ ხედვას შორის არსებული განსხვავება, შეიძლებოდა, საგალობელთა რედაქტირების მიზეზი გამხდარიყო. ე. კერქსელიძე რ. ხუნდაძეს მიმართავს: „მამაო რაუდენ! უმორჩილესად გოხოვთ, ამ თქვენ მირქმის ძლისპირებს, თუ შეიძლებოდეს, ცოტაოდენი შიგა და შიგ ადვილი განშვენება მიეცით, ასე ძალიან სადა კილოს, მე მგონია, მეორე და ბანი კარგათ ვერ მიეწყობა“ (Q687: 65, მაგ. 8). რ. ხუნდაძე კი პასუხობს: „მირქმის გალობები გავშინჯე,

მაგრამ ძალიან ბუნებრივათ არის დაწერილი და ჩვენთვისაც ეს არის საჭირო. მშვენივრათ მოუხდა მაღალი ბანი და ბანი“ (Q687: 65/499)<sup>9</sup>.

ნათელია, რომ ე. კერესელიძეს საგალობელთა ხუნდაძისეული მარტივი პარმონიზება არ მოსწონდა. მოგვიანებით, იგი განაწყენებული იგონებს ამ ურთიერთობას: „მართალია, ზოგიერთი საგალობლები, არ იყო კაი გაწყობილი და დაწერილი, თუ ვეტყოდი უარგისობას, პირში ვერ შევიცილებდი და არ იჯერებდა, რადგან დაუჯერებული კაცი იყო; ამ დროს მე ნიშანს უწერდი, იმ საგალობელს, რომელიც არ მომწონდა. ამ რიგად ჩავიბარებდი იმის გადმოცემულს საგალობლებს და ფულსაც მაშინვე ვაძლევდი. ყველა იმ ჩემ მიტანილ საგალობლების წერას მოუნდა სულ ორი წელიწადი, და ყველა ამ საგალობლების ჩაბარების დროს, ჩემგანც ჩაიბარა ჩვენის გარიგებისამებრ, სრული ანგარიში, ათას ოცდასუთი მანეთი (1025 მ.). ამრიგად მე იმასთან საქმე მშვიდობიანად გავათავე“ (კერესელიძე, Q840: 56-57). ის ფაქტი, რომ ე. კერესელიძეს არ მოსწონდა ხუნდაძის მიერ მარტივად პარმონიზებული საგალობლები, მიუთითებს იმაზე, რომ გალობის ეს ორი მოამაგჭ, საგალობლების დაცვა-შენახვის საკითხს სხვადასხვაგვარად ხედავდა. ერთი მხრივ, რ. ხუნდაძე, მდვდელი, ხეთი შვილის მამა და სრული მგალობელი, მისთვის შედარებით ნაკლებად ცნობილი მელოდიების პარმონიზებისას ხმათა შეწყიბის შედარებით მარტივ და პრაქტიკულ მეთოდს მიმართავდა<sup>10</sup>, მეორე მხრივ კი, ე. კერესელიძე, ყოფილი სტამბის მეშა, რომელმაც თავისი ბერული ცხოვრება ქართული გალობის გადაწერას მიუძღვნა, საგალობლების მშვენიერი, უნიკალური და ძვირფასი ვარიანტების ძიებაში იყო, ისევე, როგორც მუზეუმის მცველი ექვს ხელოფტების ნიმუშებს გამოსაფენად. ამსთან, იგი დიდი ფურადდებით ეკიდებოდა სადა კილოს ნოტირებას, რომ უკეთ ეწვენებინა გამშვენებული მილოს ვარიანტების დედანი.

ამ 1000 დაუმთავრებელი საგალობლის სამ ხმაზე გაწყობა ე. კერესელიძის ძირითად ამოცანად იქცა. ათიოდე წლის შემდეგ ამ მოვლენებთან დაკავშირებული განცდებისა და აქტიურობის შესახებ იგი წერს: „ამის შემდეგ, მივედი იქვე ქუთაისში, მგალობელ ივლიანე ნიკოლაძესთან და უთხარი: რ. ხუნდაძეს დავაწერი ნოტებზე ბევრი სხვადასხვა საგალობლები, და ზოგიერთი იმათში არ მოსწონს, ხელახლა შრომა და გასწორება სტირდება. ახლა მეტ მოგმართე, როგორც ფილიმონ ქორიძის ერთს უნიჭიერეს მოწაფეს და მისგან გალობის ლოტბარობაშიდაც ფრიად გაწვრთნილს. მე ვიცი რომ, შენ რ. ხუნდაძეზე ბევრად უკეთესად შეგიძლია გალობის შეწყიბა და დაწერა. ყველა ეს ხუნდაძისაგან დაწერილი საგალობლები, ვერ არის კაი გაწყობილი. ამისთვის გთხოვ, რომ ყველას თავიდგან დაგჭყვეთ და კარგათ გავაწყოთ და გავამშვენოთ და შენი მუშაობის ფულს, რასაც მეტყვი მოგცემ მეთქი“<sup>11</sup>.

ეს პატარა ცნობა ერთ-ერთია იმ მწირი ინფორმაციიდან, რომელიც ივლიანე ნიკოლაძის – ქართული გალობისათვის ამ თავდადებული მოდვაწის შესახებ არსებობს და მეცნიერებისა და საზოგადოების ფურადდების მიღმაა დარჩენილი. მისი ცხოვრების დეტალები მართლაც მიუწვდომელია. ერთადერთი წყარო ადასტურებს, რომ 1890-იან წლებში ქუთაისში ივლიანე ნიკოლაძე ფ. ქორიძესთან სწავლობდა, რომლისგანაც 1894 წლის სწავლის წარჩინებით დასრულების მოწმობა მიიღო (სურ. 1, 5)<sup>12</sup>. ამ ბიოგრაფიის სხვა პატარა დეტალი გვამცნობს, რომ იგი მე-20 საუკუნის დასაწყისში ეპისკოპოს გაბრიელ ქიქოძის მგალობელია (სურ. 3, 4)<sup>13</sup>. რადგან მისგან მხარდაჭერას ითხოვდნენ, მას ძალიან უნდოდა, დახმარებოდა საგალობლების სამ ხმაზე გაწყობის საქმეს. ე. კერესელიძე იგონებს: „ამის შემდეგ დაეწერი თრიკეტ ერთად ამ საგალობელთა ხელახლა გაწყობა, და გამშვენება 1914 წელში. ხუნდაძის დაწერილი იქი, აქა, ზოგ-ზოგი თუ გამოდგა მარტო, დანარჩენის სულ წაშლა დაგვჭირდა და ხელახლა დაწერა! ვშრომობდით არა გამუდმებით, არამედ დრო გამოშვებით, რადგან ის თავის სამსახურშიდაც იყო, ქუთაისის სობოროს მგალობელთა გუნდს ლოტბარობდა. რადგან

ჩვენ დრო გამოშვებით ვმუშაობდით, ამიტომ დიდხანს გასტანა ჩვენმა შრომამ და გაფათავეთ 1915 წ.“ (კერძესელიძე, Q840: 57-58).

ვიდრე ი. ნიკოლაძის შესახებ მეტს შევიტყობდეთ, ე. კერძესელიძისა და ი. ნიკოლაძის თანა-შშრობლობის ზემოთ მოტანილი „უტყუარი საბუთის საფუტველზე, ხელნაწერთა ანალიზმა პასუხი უნდა გასცეს შეკითხვას: რამდენად დიდი იყო ი. ნიკოლაძის როლი ამ საქმეში? თუ ამ როს ხელ-ნაწერს თვალს გადავავლებთ, დავინახავთ, რომ ე. კერძესელიძის მიერ დასმული „ნიშნების“ მიხედვით (ნიშანი „X“, მაგ. 8), საგალობრელთა რედაქტირებას მათ საგამოდ დიდი დრო დაუთმეს. ხელნაწერების დაახლოებით 80% შესწორებულია. ასეთი ინტენსიური მუშაობის გათვალისწინებით, საფიქრებელია, ხომ არ იყო ჰარმონიზებული ან რეკომენდებული საგალობლების რაიმე სხვა წყარო, ან, შეიძლებოდა თუ არა, საგალობლები შერჩეული ყოფილიყო ნიკოლაძის საკუთარი რეპუტაციიდან? (Q674: 361-364)<sup>14</sup>

ამ შეკითხვის კვალდაკვალ, წყაროთა გადამოწმება რამდენიმე საკითხს ეხმაინება. საგალობელში ნათელი მხიარული (მაგ. 9), ფურცლის კიდეზე რ. ხელდაძე აღნიშნავს: „დაწერილი იყო სამივე ხმა“. იქნებ შეიძლება დაგუშვათ, რომ ეს შენიშვნა ხელდაძემ თავისოთვის, შესახესნებლად გაიკეთა? როდე-საც მსგავსი შენიშვნა სხვაგან ჩნდება, იქ მეორე და მესამე ხმა მოცემული არაა, რაც გვაფიქრებინებს, რომ შენიშვნა სხვა ხელნაწერისთვის იყო განკუთვნილი. მაშინ, რატომ არის ეს საგალობელი ჰარ-მონიზებული? თუ მაგალითს კარგად დაგუჭირდებით, შევნიშნავთ, რომ ამ ხელნაწერში ხუნდაძის ხელწერისათვის დამახასიათებელი პარალელური ტერციების პრიორიტეტი უგულებელყოფილია. პირიქით, შეა ხმა იწყება აღმავალი მელოდიური ხაზით, რაც ძალიან ემსგავსება მე-3 და მე-4 მაგა-ლითებში გაპეოებულ ჩასწორებებს და განაგრძობს ჰარმონიზებას სხვა ხერხებით, მსგავსად წინ განხილული რედაქტირებული მაგალითებისა. იმავე საგალობლის მომდვნო გვერდზე, განმეორებადი მელოდიური ფრაგმენტის ყოველი გამოჩენისას, ჰარმონიზაციის განსხვავებული ვარიანტებია მოცემუ-ლი (მაგ. 10ა, ბ, გ), რაც, ასევე უწვევულო ხუნდაძისათვის. აღნიშნული მკაფიო სტილური თავისე-ბურებები და ის ფაქტი, რომ საგალობლები უფრო გვიანი რედაქტირების არავითარ ნიშანს არ შეიცავს, ნათელს ხდის, რომ ნიკოლაძემ მართლაც გააწევ ხმებზე ეს საგალობელი.

სხვა მაგალითები პრობლემატურს ხდის იმ მიღებულ თვალსაზრისს, რომ ხელნაწერები თავიდან ბოლომდე რ. ხელდაძის მიერ იქნა ჰარმონიზებული. მაგალითად, დმრთისმშობლის პარაკლისის სა-გალობელში ყრმათა დათისმსახურთა, რომელიც ხელნაწერ Q687-ის ბოლო გვერდებზეა განთავ-სებული (მაგ. 11), მეორე ხმაში აღმავალი სვლები, პარალელური ტერციების გამოუყენებლობა და კონტრაპუნქტის უპირატესობა ჩასწორებების გარეშე, ი. ნიკოლაძის ნაშემშევარზე მიუთითებს. იგივე შეიძლება ითქვას ძლისპირის – შენ რომელი უქორწინებულ ხარ დედო (მაგ. 12) – შესახებ, რომელ-შიც ჩასწორებების არარსებობა და აღმავალი მოძრაობა მეორე ხმის ფრაზის დასაწყისში, კვლავ ნიკოლაძის ნახელავზე მიუთითებს. მეორე ხმა აღმასვლით იწყება. მსგავსი დაუმუშავებული მაგა-ლითები, ხუნდაძის რედაქტორის ხელწერით, მხოლოდ 20-30 საგალობელში გვხვდება; თუმცა, მათი მნიშვნელობა დიდია, რადგან მათი მეშვეობით შეიძლება ი. ნიკოლაძის მიერ ჰარმონიზებულ და დაწერილ სხვა საგალობლებსაც მივაკვლიოთ.

განსხვავებული ხელწერით შესრულებული შესწორებების მიღმა, რომელსაც ამ მაგალითებში ვხედავთ, ი. ნიკოლაძის ამ საქმეში მონაწილეობის ყველაზე მნიშვნელოვან და „უტყუარ საბუთის ე. კერძესელიძის ზემოხსენებული მოგონებებიდან ვიღებთ. საკითხის შემდგომმა შესწავლამ, შესაძლოა, ნათელი მოპფინოს ე. კერძესელიძისა და რ. ხელდაძის ურთიერთობის დეტალებს და, ასევე, შესაძ-ლებელი გახადოს ხუნდაძის მიერ ჩასწერილი ან ჰარმონიზებული სხვა ხელნაწერების პოვნა. ცხადია, ი. ნიკოლაძე დათანხმდა ე. კერძესელიძის თხოვნას საგალობელთა რედაქტირების შესახებ, თუმცა, მან

ეს დიდი სიფრთხილით გააკეთა. მისი შექმნორეგბების უმეტესობა ძირეულად არ ცვლის ო. ხუნდაძის პარმონიული ენის საფუძველს საკადანსო ბრუნვების თვალსაზრისით, ბანის წყობას, აკორდების სტრუქტურას და სხვა მნიშვნელოვან პარამეტრებს. პირიქით, ისინი მიმართულია აშკარა პარალელური ტერციების შეცვლაზე გარიაციული ტექნიკითა და მარტივი კონტრაჟუნქტით. ამაში ნათლად ჩანს, რომ ნიკოლაძე მიეკუთვნება ისეთ ოსტატ-მგალობელთა რიცხვს, რომელთაც კარგად ესმოდათ გარიაციული ტექნიკის ფაქტზე ნიუანსები.

ნიკოლაძის მონაწილეობა საგალობლების რედაქტირებაში კერძესელიძეს დაეხმარა, ისე გაწყო საგალობლები ხმებზე, როგორც ეს თავად წარმოედგინა. ხელნაწერები ასახავენ საგალობლების ზეპირიდან წერილობით ტრადიციაში გადატანის მოელ პროცესს, დაწყებული ფილიმონ ქორიძის მიერ მასალის გაშიფრვიდან, მისი სრულყოფის კერძესელიძისეული მისწრაფების, რაუდენ ხუნდაძის მიერ სამ ხმაზე გაწყობისა და ნიკოლაძისეული დაკარგებული რედაქტირების ჩათვლით. ამ ინდივიდთაგან თითოეულმა დიდი წვლილი შეიტანა ქართული საგალობლის მომავალი თაობებისათვის შენახვის საქმეში.

მინაწერი:

საგალობლების ხელნაწერთა მცველმა და გადამწერმა ექვთიმე კერსელიძემ დიდი როლი შეასრულა ასეულობით დაუმთავრებელი საგალობლის სამ ხმაზე გაწყობისა და მათი პრაქტიკაში დამკავიდრების საქმეში. 1941 წელს დაწერილი მისი გამოუქვეყნებელი მემუარები ფასდაუდებელი წყაროა ხელნაწერებში არსებული ზოგიერთი დამაბინებელი წინააღმდეგობისა და იდუმალების ამო-სახსნელად. რომ არა მისი დიდი ყურადღება ისტორიული დეტალების მიმართ, მკვდავრები ვერა-სოდეს შეძლებდნენ, ჩასწორიდნენ იმ მრავალგვარ ცელიდებებს, რომელთაც ადგილი ჰქონდა ზეპირი ტრადიციის საგალობლების ნოტებზე გადადებისას. ხელნაწერებზე მუდმივმა მეთვალყუ-რეობამ, შესაძლებლობა მისცა, გადაერჩინა ისინი საბჭოთა სახელმწიფოს მიერ თავისი არსებობის პირველ წლებში მოწყობილი წმენდისაგან. შრომა, რომელიც კერესელიძემ გასწია რაუდენ ხელნა-ძესა და ივლიანე ნიკოლაძესთან ერთად, ცხადყოფს იმ მოკრძალებას, რომლითაც მან მიმართა დახმარებისთვის გელათის სამონასტრო სეოლის ორ უკანასნელ უდიდეს მგალობელს. ივლიანე ნიკოლაძეც, როგორც სამ ხმაზე გაწყობილ საგალობელთა ხელნაწერების რედაქტორი, ასევე იმ-სახელმწიფების ქართული გალობის ქადაგებრ-პრაქტიკოსთა და მამლენართა სათანადო ადიარებას.

შენიშვნები

<sup>1</sup> მადლობას კუხვი დავით შედლიაშვილს კალეგის პროცესში გაწეული დახმარებისათვის

<sup>2</sup> საქართველოს ხელნაწილთა ეროვნული ცენტრის Q კოდეგნიაზი დაცული 300-400 გვერდიანი ოთხი ტომი ადასტურებს კერძებულიძის მიერ ჩატარებულ ურთულებეს სამუშაოს.

<sup>3</sup> მადლობას კუხიდი ხელნაშერთა ეროვნულ ცენტრს ამ მაგალითების გამოყენების შესაძლებლობისათვის

<sup>4</sup> საგალობრძების ჩაწერის ინიციატორი კისეკრძოხის გამოყენება ქიმიურ გახდათ. ეს საქმე 1884-1885 წლებში ხორციელდებოდა და მასში მონაწილეობდნენ სრული მგალობლები: ი. წერიელი, დ. ჭალაგანიძე, რ. ხუნდაძე და ა. ფეხმაძე. საგალობრძების ფ. ქორიძე იქნება

<sup>5</sup> სავარაუდოდ, რ. ხუნდაძის პარმონიული სტილი, მის მიერ გაღობის სწავლების პროცესთან იყო დაკავშირებული. როგორც ჩანს, მას არც ისე ბევრი მოწადინებული მოსწავლე ჰქონდა და, როგორც ცნობილია, რ.

ხუნდაძემ ქუთაისის გაზეთში განცხადებაც კი გამოაქვეყნა იმის თაობაზე, რომ იგი მზად იყო ქართული გა-ლობა უფასოდ ეწავლებინა უფლასოვის, ვინც კი მასთან ივლიდა და გაღობის ძირითად სტრუქტურას დაგ-უფლებოდა

<sup>6</sup> ერთ-ერთ შენიშვნაში რ. ხუნდაძე აღნიშნავს: „თორმეტი საუფლო დღესასწაულის საცისკრო დავითნის წარდ-გომები (სტიხოლოგიუბი) დაწერილი ჰქონდა მამა ევთომეს (წინეთ ესტატე ეკრესელიძე), მარტო ერთ ხმაზე მე, მდგველმა რაუდენ ხუნდაძემ, შევუწყვე მე-2 და მე-3 ხმა და დაგსწერე, მან, ევთომეს კი ქორიძეს დაწერინა ის პირველი ხმა არისტო ქუთათელაძის ნაგალობევით, რომელმაც კილო სიმონ კუნტისაგან იცოდა, დავწერე უცვლელათ ის კილო რომელსაც თანამედროვე კილოსთან ცოტანი ცვლილება აქვს. მშვენიერი კილოა. მდგვ. რაუდენ ხუნდაძე 1913 წ. 26 ნოქტერი“ (ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, Q688: 267)

<sup>7</sup> ეს პროცენტული მაჩვენებელი ვარაუდის დონეზე შეიძლება განვიხილოთ, რადგან თოხი ხელნაწერის ფარგ-ლებში საგალობელთა დუბლირებული ასლები არსებობს

<sup>8</sup> მაშინ, როდესაც ტერციებისა და კვინტების პარალელიზმი, გელათის სკოლის საგალობლებისათვის უცხო არ არის, კონტრაპუნქტი ზოგად წესს წარმოადგენს და ჭარბობს ისეთ თრიამენტულ კილოებში, როგორიცაა ნაძღვილი და გამშვენებული კილო

<sup>9</sup> აქ ძალიან საინტერესოა ტერმინის „მაღალი ბანი“ გამოყენება, და შესაძლოა მიუთითებდეს, რომ „ბანის“ ხმა მორჩილება უკეთაზე მნიშვნელოვანს – პირველი ხმის მიერ შესრულებულ მთავარ მელოდიას

<sup>10</sup> დაუსრულებელი საგალობლების დიდი ნაწილი ფ. ქორიძემ 1903-1904 წლებში, ხონში, არისტოვლე ქუთა-თელაძისაგან ჩაწერა

<sup>11</sup> ი. ნიკოლაძემ უპასუხა: „მე ეს საქმე დიდ კეთილ საქმედ მიმაჩნია, მე რომ ცოდ-შვილი არ მყავდეს, ამ საქმეში ფულსაც არ გამოგაროთმევდი, მაგრამ შენ რაც გინდოდეს ის მომეცი, მე მაღლობელი ვიქნები“ (კერესელიძე, Q840: 56-57)

<sup>12</sup> მადლობას ვუხდი ლუარსაბ ტოგონიძეს ამ მასალის მოწოდებისათვის. მან მოწოდის ისტორიული მნიშვ-ნელობა შენიშნა მაშინ, როდესაც ის ი. ნიკოლაძის შთამომავალთა საოჯახო არქივში აღმოჩინა. მადლობა მას ი. ნიკოლაძის ფოტოების იდენტიფიკაციისათვის

<sup>13</sup> ინფორმაციის მოწოდებისათვის მადლობას ვუხდი მაგდა სუხიაშვილს, რომელმაც ეს ინტერვიუ დამარა თუ-ბერიძენიკოლაძისაგან (ი. ნიკოლაძის შეიძლიშვილის მეუღლისაგან) ჩაიწერა

<sup>14</sup> აქ წარმოდგენილია ე. კერესელიძის მიერ თეთრად გადაწერილი თოხი სალხინო საგალობელი. ამ ხელნაწერში ე. კერესელიძე, ი. ნიკოლაძეს, როგორც წყაროს, ისე მოხსენიებს. მადლობას ვუხდი მალხაზ ერქვანიძეს, რო-მელმაც ამ მნიშვნელოვან ცნობაზე ჩემი ფურადღება მიაპყრო

**JOHN A. GRAHAM (USA)**

**IVLIANE NIKOLADZE: THE ALTERNATE REDACTEUR  
OF THE GEORGIAN HEIRMOI**

In the waning years of the chant preservation movement in Georgia, 1910-1915, one man made it his mission to complete the three-voiced realization of a large selection of unfinished transcriptions. To fulfill this quest, he battled with ill health, re-wrote hundreds of chants, sought professionals to harmonize missing voices, and engaged in a large-scale editing project to fulfill his particular sense of chant aesthetic. Four large volumes of chant transcriptions, housed in the National Centre of Manuscripts in Tbilisi Georgia, reveal the involvement of many hands including some of the most important singers, transcribers, and editors of the chant preservation movement.

The project of preserving Georgian chant received a boost in 1892 with the arrival of the first movable music typeface in Tbilisi. This technology enabled the Sharadze & Friends Press to become the focal point for the publication of chant-books. The press also organized fund-raising drives and commissioned western-trained musicians such as the opera singer Pilimon Koridze to transcribe chants by the hundreds from masters throughout Western Georgia<sup>1</sup>. Several publications of chant organized by liturgical service (Vespers, Matins, Liturgy, etc.) emerged in the following decade, but with the untimely death of chief publisher Maksime Sharadze in 1908, it was not long before the momentum of the press, and the preservation effort centered around it, ground to a halt over friction between the remaining partners.

Estate Kereselidze, one partner at the press and the head of music publishing, was convinced that continuing to publish church chant remained a priority for the press, following Sharadze's ideological mission to preserve and rebuild public consciousness through the publication of Orthodox sermons and other morality texts (Graham, 2007). But another partner, Spiridon Losaberidze, had no interest in pursuing what he perceived to be an unprofitable and time-consuming venture. The argument disrupted the operations of the press, which eventually had to close. According to Kereselidze's memoirs, Losaberidze was a man of such low character that he stole the most valuable components of the press the night before the assigned division of assets when the press was finally liquidated in 1910. Even more heart-breaking, wrote Kereselidze, Losaberidze claimed ownership of a set of hand-written books containing the unpublished chant transcriptions commissioned from the opera singer Koridze specifically to spite him, taking them for himself without a thought of keeping the invaluable collection intact (Shugliashvili, 2009: 28-29).

The nine volumes of chant in Losaberidze's possession wound up in the university museum and survive into the modern era as a collection titled H-154 in the National Centre for Manuscripts<sup>2</sup>. The collection contains the first voice transcriptions of hundreds of *heirmoi*, *troparia*, *graduals*, and other chants notated over several years in the cities of Tbilisi and Ozurgeti by Pilimon Koridze (Sukhiashvili, Sanikidze, 2004). When Kereselidze discovered the location of the missing manuscripts, he spent one full year hand-copying the transcriptions into four large volumes (Q687, 688, 689, 690)<sup>3</sup>. At first, he copied out exactly what Koridze had written, namely, line after line of first-voice melody. But after a few pages, Kereselidze started leaving two extra lines of blank staff notation below each copied melody, apparently intending to complete what Koridze had been unable to finish: the transcription of the chant melodies into their complete three-voiced harmony (ex. 1)<sup>4</sup>. Over the next five years, he would be consumed with this project, traveling to western Georgia in search

of the best chanters alive to help him complete the harmonization and commence publication of the chants.

By 1913, three years after the dissolution of the press, Kereselidze had decided to dedicate his life to the scribal task of recopying, organizing, and completing the chant transcriptions of Koridze. He became a novice, took the name Ekvtime, and relocated from Tbilisi to the Gelati Monastery in central Georgia (fig. 1). Once there, he commissioned the chanter Razhdan Khundadze, a priest in nearby Kutaisi, to begin working on the harmonization of the approximately 1000 unfinished chant melodies. Khundadze was a master chanter of the first order; in 1884, nearly thirty years earlier, he had been hand-picked to be a member of the first group of chanters to sing in the pivotal transcription project of the 1880s, and could sing literally thousands of chants in their most complex versions (fig. 2)<sup>5</sup>. Despite this mastery, however, the manuscripts reveal that by 1913, Khundadze had a strong preference for the simplistic *sada kilo* (plain mode) manner of singing chant, perhaps for pedagogical purposes<sup>6</sup>. His style in these manuscripts is characterized by a prevalence of parallel third intervals in the upper voices, and intervals of an octave or fifth in the outer voices (ex. 2).

Most of Khundadze's harmonizations are in two thick manuscripts (Q687, 688), each containing more than 400 pages of chant melodies, two of the manuscripts that must have been copied by Kereselidze in Tbilisi in 1911. On almost every page of these manuscripts, the clean, straight stem-heads of Kereselidze's hand in the first voice are contrasted by the quick, confident strokes of Khundadze in the lower two voice-parts (Compare ex. 1 and 2)<sup>7</sup>. Curiously enough, the manuscripts seem to have been edited quite extensively, with as many as 70% of the chants showing line-by-line minor changes and another 5% showing large-scale changes<sup>8</sup>. One might suppose that Khundadze, being a master of the oral chant tradition, edited his own work. However, closer study of the hand-writing and musical style suggests otherwise, as explored in the following examples.

In the heirmos, *romelman sit' yvit ararasagan* (ex. 3), a beautiful melodic line harmonized nearly entirely with parallel third intervals has been erased and re-worked with simple counterpoint. Note that when such parallel third intervals exist between the upper voices the middle voice is consistently emended with a rising line; it happens no less than three times in this short example. In the following close-up (ex. 4), one sees the same preference for a delayed rising line in the middle voice, and in this case, the cadence is also changed as the unusual third interval is removed. Another aspect of comparison is the hand-writing, which is perhaps most visible in Figure 4. While Kereselidze's note stems are generally straight up and down (in the top voice), Khundadze's often taper to the right at the bottom of descending stems. Kereselidze writes half notes with a circle and a stroke, while Khundadze writes half notes in one motion, without letting the pencil leave the page. In the second measure of Figure 4, the added eighth notes in the middle voice are curiously in a third hand-writing. It is quite similar to Khundadze's but the note-heads are smaller and the stems are inconsistent in direction and length (best seen in the emendations of examples 3, 4, and 7).

